პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲚᲔᲚᲝ

№ 248 (4242)

1970 წ. 20 დეკემბერი. კვირა. ფასი 8 კაპ.

სსრკ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სპარტაკიადამდე ნახევარი წელიწადი დარჩა

V სპარტაკიადა 1971

საორგანიზაციო კომიტეტის მორიგ სხდომაზე

1971 წლის ზაფხული განსაკუთრებულია საბჭოთა კავშირის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციებისთვის: ყველა საბჭოთა სპორტსმენისთვის: ივლისში მოსკოვში გაიმართება სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობანი.

ამ დიდ მოვლენას წინ უძღვის სტარტები ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში, რაიონებში, ქალაქებში, ოლქებსა და რესპუბლიკებში. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ეტაპების ამოცანა, როგორც ცნობილია, ის არის, რომ მოსახლეობის რაც შეიძლება ფართო ფენები ჩავაბათ ფიზკულტურასა და სპორტში, გამოვავლინოთ და აღვზარდოთ მაღალი თანრიგების სპორტსმენები, დაბოლოს, დავაკომპლექტოთ ნაკრები გუნდები, რომლებიც ფინალებში დაიცავენ ამა თუ იმ რესპუბლიკის დირსებას.

უკვე ყველგან გაიმართა პირველი ორი ეტაპის შეჯიბრებები ძირეულ კოლექტივებსა და რაიონებში. ეს შეჯიბრებანი დამთავრდა საქართველოშიც.

როგორია მათი შედეგები, რამდენად გაართვეს თავი ორგანიზაციებმა და თვით სპორტსმენებმა დასახულ ამოცანებს? — აი ის საკითხები, რომლებსაც იხილავდა საქართველოს სსრ V სპარტაკიადისა და სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობის საორგანიზაციო კომიტეტი თავის მორიგ სხდომაზე. სხდომას ხელმძღვანელობდა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს-სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი.

სხდომაზე მიწვეული იყვნენ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სპორტის სახეობათა ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელები, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების ხელმძღვანელები, ფედერაციათა თავმჯდომარეები, სამმართველოთა და განყოფილებათა უფროსები, აგრეთვე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახეობათა მთავარი მწვრთნელები.

საინფორმაციო მოხსენებანი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის პირველი და მეორე ეტაპები საქართველოს სსრ რაიონებში, ქალაქებში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, როგორ ემზადება რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ფინალისთვის საქართველოს სპორტული დელეგაცია, გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ვ. სიხარულიძემ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. შ. გუბაზმა, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ვ. მამუჩაძემ და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ა. ახვლედიანმა.

მათ განაცხადეს, რომ სპარტაკიადის მასობრივი სტარტები მოეწყო რესპუბლიკის 6.826 კოლექტივში. სარბიელზე გამოვიდა თითქმის 925 ათასი კაცი. ამ შეჯიბრებებში, აგრეთვე, ბევრ სხვა საერთაშორისო, სრულიად საკავშირო, რესპუბლიკური და საქალაქო მასშტაბის ასპარეზობაში შვიდმა სპორტსმენმა შეასრულა სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმა, 174 სპორტსმენი პირველად გახდა სპორტის ოსტატი, 1.618 სპორტსმენმა შეასრულა ოსტატობის კანდიდატისა და პირველთანრიგოსნის ნორმატივი, 115 ათასზე მეტი კაცი თანრიგოსანი გახდა. ამ დროის მანძილზე ქართველმა სპორტსმენებმა დაამყარეს ერთი სსრ კავშირის რეკორდი, 16 რესპუბლიკური რეკორდი, 40 საოლქო, 88 საქალაქო და 291 რაიონული რეკორდი.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ წარმატებათა მიუხედავად, არის კიდევ მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომლებიც არსებითად უშლიან ხელს მუშაობას, აფერხებენ ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარებას. მაგალითად, ამბროლაურის, ლენტეხის, მესტიის, თერჯოლის, ცაგერის რაიონებში უზრუნველყოფილი არ იყო შეჯიბრებათა ჯეროვანი მასობრიობა ძირეულ კოლექტივებში. ზოგან არ გამართულა შეჯიბრებანი ოლიმპიურ სახეობებში — ცურვაში, მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში და სხვ. ჯეროვან დონეზე არ გამართულა სპარტაკიადები აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, ფოთის, ონის, სამტრედიის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, კასპის, ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონის ფიზკულტურის კოლექტივებში. ეს იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მუშაობის ამ დიდმნიშვნელოვან უბანს, არ ზრუნავენ სპორტსმენთა ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის. ფიზკულტურა კომკავშირული ორგანიზაციების დვიძლი საქმეა. რესპუბლიკის ოლქკომ ცენტრალური კომიტეტის დახმარების მიუხედავად, ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციები ნაკლებად მუშაობენ ნამდვილი მასობრიობის მიღწევისთვის, ივიწყებენ, რომ სპორტი ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა.

იყო დრო, როცა რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ხელოვნურად ცდილობდნენ დაენერგათ მოცემული ადგილისთვის შეუფერებელი სპორტის სახეობანი. ახლა ეს ნაკლოვანება აღმოფხვრილია, იქ ავითარებენ ეროვნული სახეობების სპორტს, ზრუნავენ სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებისთვის.

თუ გადავხედავთ რესპუბლიკის ოლქების, ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლებს სხვადასხვა სახეობის სპორტის ნაკრებ გუნდებში, მე-

(დასასრული მე-2 გვ.).

● ჰანოვერი, 18 დეკემბერი. მოსკოვის „დინამოს“ ფრენბურთელმა ქალებმა აქ მოიგეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მერჯედფინალური მატჩი. მათ დაამარცხეს ადგილობრივი „ვკ-ჰანოვერი“ — 8:0. საპასუხო შეხვედრას სტუმრები აქვე გამართავენ.

● ბელგრადი, 18 დეკემბერი. აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი მოსკოვის „დინამოსა“ და იუგოსლავიის „მლადოსტის“ წყალბურთელთა გუნდებს შორის. „დინამომ“ შეხვედრა წააგო — 2:3. მეორე ფინალურ მატჩში ბელგრადის „პარტიზანმა“ მოუგო შვეიცის „სტოკჰოლმს“ — 7:2.

● პელხინკი, 18 დეკემბერი. სსრ კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრებმა ბოლო მატჩი გამართა ფინეთის მეორე ნაკრებთან და დაამარცხა იგი ანგარიშით 10:4.

● ამსტერდამი, 18 დეკემბერი. დღეს აქ სტარტი აიღო მოშამეთა ტრადიციულმა საახალწლო საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი სპორტსმენი გამოდის. „დიდოსტატთა ტურნირში“ თამაშობენ მსოფლიო ჩემპიონი ბ. ანდრეიკო, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ი. კუპერმანი, დიდოსტატი ჰ. განტვარგი (ყველა — სსრ კავშირი), ევროპის ჩემპიონი ტ. სეიბრანდსი (ჰოლანდია), სენეგალელი ბაბა სი და სხვ. „ოსტატთა ჯგუფში“ გამოდის კიდევ ერთი საბჭოთა მოშაშე — 16 წლის დონეცკელი მოსწავლე კ. მეშჩანსკი.

მოსკოვში მიმდინარეობს ფიგურული სრიალის ოსტატთა საერთაშორისო შეჯიბრება „მოსკოვის ციგურები“. წყვილთა ახსპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ ლენინგრადელები ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი. მეორე ადგილი დაიკავეს მოსკოველებმა — გ. კარელინამ და გ. პროსკურინმა, მესამე — ლ. ბელოუსოვამ და ო. პროტოპოპოვმა (ორივე — ლენინგრადი).

სურათზე: ლ. სმირნოვა და ა. სურაიკინი ახსპარეზობის დროს.

ი. შალიმოვის ფოტო.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკური გაზეთის „სოვეტაკან ვრასტანის“ („საბჭოთა საქართველოს“) „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისთვის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად მათი მობილიზაციისთვის რესპუბლიკური გაზეთი „სოვეტაკან ვრასტანი“ („საბჭოთა საქართველო“) დაჯილდოდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1970 წ. 16 დეკემბერი.

V სპარტაკიადა 1971

სპარტაკიადამდე ნახევარი წელიწადი დარჩა

(დასასრული)

ტად არასასიამოვნო სურათი წარმოგვიდგება თვალწინ. მაგალითად, ნაკრები გუნდების კანდიდატებად დასახელებულია 599 კაცი. მათი უმრავლესობა — 477 სპორტსმენი ცხოვრობს თბილისში. ქუთაისი წარმოდგენილია 38 სპორტსმენით, აფხაზეთი — 17, აჭარა — 18, მცხეთა — 10 სპორტსმენით და სხვ. ნაკრებ გუნდებში სრულიად არ არიან წარმოდგენილი ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, გურჯაანის, თელავის რაიონები. ეს ბევრ რამეზე მეტყველებს.

აღნიშნა, რომ სპორტული ბაზების უქონლობა უარყოფით გავლენას ახდენს მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაზე. ზოგჯერ არ ვზრუნავთ უკვე არსებული ნაგებობების მოვლისა და კეთილმოწყობისთვისაც. მაგალითად, აფხაზეთში ახლახან დაინგრა სასტენდო სროლის ტირი, მაგრამ მის აღდგენაზე არავინ ფიქრობს. გულრიფშის რაიონში სტადიონის ტერიტორიაზე სკოლა აშენდა. ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ გამოყოფდა ადგილს ახალი სტადიონის მშენებლობისთვის და ააშენებდა კიდეც მას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ბათუმის ბავშვთა სპორტული სკოლის შენობათა კომპლექსის მშენებლობის ტემპი. რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტმა, რომელიც ეწევა ამ მშენებლობას, წლეულს გამოყოფილი სახსრების მხოლოდ 10 პროცენტი აითვისა. და ეს იმ დროს, როცა მშენებლობა მიმდინარეობს 1968 წლიდან და ობიექტი უკვე საექსპლოატაციოდ უნდა იყოს გადაცემული.

საორგანიზაციო კომიტეტმა მოიხმინა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის დ. ვ. მჟედლიშვილის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ა. ა. ბარდაფხაძის საინფორმაციო მოხსენებანი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სპორტული პროპაგანდა და როგორ შუქდება საქართველოს სსრ და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისთვის მზადება პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით. მათ აღნიშნეს, რომ ჩვენი გაზეთები, რადიო და ტელევიზია ჯერჯერობით ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს, ცოტას წერენ პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოების მიერ ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი დახმარების შესახებ. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამდე დარჩენილ დროში საჭიროა გავაქტიურდეთ ამ მხრივ მუშაობა, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს სპორტსმენებს ყურადღება მიაქციონ მუშაობის ყველაზე ჩამორჩენილ უბნებს, დროულად გამოასწორონ ნაკლოვანებანი.

იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობასა და აფროსნობაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადება, საორგანიზაციო კომიტეტის სხდომას მოახსენეს აკადემიური ნიჩბოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარემ თ. ნ. ფურცელაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში ა. ნ. არხანგელსკიმ და აფროსნობაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ბ. ნ. შაკიაშვილმა.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე ყველა ორატორი ხაზგასმით აღნიშნავდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს განხილულ საკითხს, რომ დარჩენილ დროში საჭიროა განვახორციელოთ ყველა ღონისძიება, რათა საქართველოს ნაკრები გუნდი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში არანაკლები წარმატებით გამოვიდეს, ვიდრე წინა სპარტაკიადებში. ხომ ვიცით, რომ ტრადიციული V ადგილის დაკავება — მოსკოვის, უკრაინის, რუსეთის ფედერაციისა და ლენინგრადის შემდეგ — ახლა გაცილებით უფრო ძნელია: გაძლიერდა კონკურენცია, გაიზარდა მრავალი ნიჭიერი სპორტსმენი საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებსა და რესპუბლიკებში. გარდა ამისა, ქართველ სპორტსმენებს მუდამ ღირსეული ადგილი ეკავათ საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში, და ახლა მათი, ისევე როგორც სსრ კავშირის ყველა სპორტსმენის ამოცანაა, კარგად მოემზადონ მიუნჰენის ოლიმპიადისთვის.

შეაჯამა რა სხდომის შედეგები, ამხ. ბ. დ. ჯაფარიძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ნაკრები გუნდების ორგანიზაციულ განმტკიცებას და როგორც მწვრთნელების, ისე თვით სპორტსმენების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას. (საქმენი).

სსრ კავშირის XXXVIII ჩემპიონატი

ბრძოლის ლოგიკა



თბილისი. სპორტის სასახლე. 18 დეკემბერი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 57:75 (25:34) მსაჯები: ვ. რუჩინსკასი (კაუნასი), ვ. პივოვაროვი (კიევი). დუბლიორები — 75:74 (34:35).

ლენინგრადის „სპარტაკის“ შემადგენლობაში არ არის არც ერთი „ზამაღალი“ კალათბურთელი. სასტარტო ხუთეულის საშუალო სიმაღლე ამ მატჩში 194 სანტიმეტრი იყო, 2 სანტიმეტრით მეტი, ვიდრე „ბურევესტნიკისა“. მაგრამ ნევისპირელებს მოედანზე ჰყავდათ ორმეტრიანთა იდეალურად შეთანხმებული და საოცრად მძლავრი ჯგუფი, (ბელოვი — ივანოვი). ეს „სპარტაკის“ ძირითადი დამრტყმელი ძალაა, რაც შედარებით ტანმორჩილ გამთამაშებლებთან (ბოლშაკოვი, ფეოდოროვი), კონტაქტში მყარ და მობილურ ანსამბლს ქმნის.

ივანოვის როლი გუნდში არც ისე მცირეა, მაგრამ იმ სამუშაოთა შესასრულებლად, რაც ცენტრალური თავდამსხმელისთვისაა განკუთვნილი, საკმაოდ საკმარისია ბელოვიც. იგი უნიკალური მოვლენაა არა მარტო „სპარტაკში“, არამედ მთელ საბჭოთა კალათბურთში. მაღალი ტანის, დახვეწილი კოორდინაციის მქონე და მოძრავი კალათბურთელი ნებისმიერ სიტუაციაში საჭიერი სივრცეთა ერთპიროვნული და სრული გამგებელია. როცა იგი ფარის ქვეშ იბრძვის, დარწმუნებული შეიძლება იყოთ, რომ გუნდი მიზანს მიაღწევს.

მაგრამ „სპარტაკის“ ძალა მარტო ბელოვში როდია, თუმცა მისი როლი, პირდაპირ უნდა ვთქვათ, უაღრესად დიდია. „სპარტაკი“, ამავე დროს, მუდმივი სისწრაფეა, ტემპი, თავისებური საბრძოლო ცეცხლი და თითქმის შეუცდომი სროლები. ეს კი უკვე მთელი თამაშია და წარმატების მყარი გარანტია.

ერთი სიტყვით, „ბურევესტნიკი“, ამ დღეს წინ ვერ აღუდგა თავის მრისხანე მეტოქეს. ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ მატჩის დასაწყისში იყო. შემდეგ კი, როცა მთელი ძალით ამოქმედდა სპარტაკელთა შეტევის მექანიზმი, ცხადი გახდა მისი უდავო უპირატესობა და ბრძოლამაც ლოგიკური ფორმა მიიღო.

* * *

„ბურევესტნიკისა“ და „სპარტაკის“ ძირითად შემადგენლობათა მატჩს წინ უსწრებდა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა იორდანიის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებ გუნდსა და თბილისის „დინამოს“ შორის.

სტუმრებმა მეტოქეს წინააღმდეგობა გაუწიეს მხოლოდ პირველ ტაიმში, რომელიც 13 ქულის სხვაობით (38:51) დათმეს. შესვენების შემდეგ ძალთა უთანაბრობა უკვე აშკარა გახდა. „დინამომ“ გაიმარჯვა — 111:79.

ნ. გუგუშვილი.

ქართული ფეხბურთი

საწარმოო ტანვარჯიშით იწყება...

თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა „ისნის“ ფიზკულტურული კოლექტივი სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ მოწინავედ. ამ საწარმოს 5000-მდე მუშა-მოსამსახურიდან ყოველი მესამე ფიზკულტურელია. სპორტის 10 სახეობის სექციებში ტექნიკას სრულყოფენ სპორტის ოსტატი, ფრენბურთელი გ. გოვოროვა, პირველადსახრიგოსანი მთამსვლელი ს. ნანუმოვი, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრების წევრი, მოთხილამურე ნ. ოზეროვი და მათი 300 ამხანაგი.

ფაბრიკაში შესანიშნავი კომპლექსური მოედნები მოაწყვეს და ახლა საცურაო აუზის აგებასაც აპირებენ. ყოველ შაბათ-კვირას ათობით მუშა ტურისტულ ლაშქრობაში მონაწილეობს.

ყველა ამ წარმატებას საწარმოო ტანვარჯიში ედო საფუძვლად. თავდაპირველად ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას ბევრმა არ დაუჭირა მხარი: რას ამბობთ, რაღაც ვარჯიშისთვის მთელი ხუთი წუთი დაკარგოთო?!

ფიზკულტურის უფროსმა ინსტრუქტორმა ვ. გედევანიშვილმა, საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტებმა გ. იაგუბოვმა და მ. პაპისმედოვმა საამქროები შემოიარეს, მუშებს საწარმოო ტანვარჯიშის როლსა და მნიშვნელობაზე ესაუბრებოდნენ, არწმუნებდნენ...

ამ სამეულის მონდომების წყალობით ტანვარჯიში ჯერ ერთ საამქროში დანერგეს, შემდეგ კი თანდათან გაავრცელეს. ახლა საწარმოო ტანვარჯიში ფაბრიკაში ყველაზე მასობრივი ღონისძიებაა, რომელსაც დირექცია მუდამ მხარს უჭერს.

ფაბრიკის დირექტორის მიერ ა. წ. 3 იანვარს გამოცემულ № 64 ბრძანებაში აი, რა წაიკითხეთ: „...განყოფილებებისა და საამქროების ფიზორგების ზრუნვით მუშამოსამსახურეთა ყოფაში საწარმოო ტანვარჯიში მტკიცედ დამკვიდრდა... ვბრძანებ: მადლობა გამოცხადოთ და ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ ფიზორგები: პირველ საამქროში — ო. რიაბჩენკო და რ. სტარკოვი, მეორე საამქროში — ნ. იანბეკოვი და მ. სარქისიანი, მესამე საამქროში — მ. მჟედლიძე და ვ. ზუტიკოვა, მეოთხე საამქროში — რ. ტოდტაევი და ნ. ყურბანოვი, მეხუთე საამქროში — ე. ტარასოვი“.

საწარმოო ტანვარჯიშში 3000 კაცია ჩაბმული. აი, რას ამბობს მეხუთე საამქროს შრომის დამკვრელი, V საკავშირო შეკრების მონაწილე მკერავი ზ. დოგუზოვი:

— საამქროში ე. ლაზარაშვილის ახლოს ვმუშაობ. ყოფილ ფრონტელს, რომელსაც მკერდს ცხრა ჯილდო უმშვენებს, ჭაღარა გაუმრავლდა, მაგრამ სწორედ ეს ქალია საწარმოო ტანვარჯიშის კომპლექსთა შესრულებაში სამაგალითო. იგი შესანიშნავად შრომობს, ახალგაზრდებს კარგ მაგალითს გვაძლევს.

— საწარმოო ტანვარჯიში ძალიან შემიყვარდა, — გვითხრა ლაზარაშვილმა, — ვინაიდან იგი მთელი დღისთვის გვმატებს ენერგიას. ვარჯიშის შემდეგ თავს მუდამ მხნედ ვგრძნობ.

მე-4 საამქროს თანამშრომელი მ. ევსენიოვა 52 წლისაა, მაგრამ ასაკს ვერ შეატყობთ.

ახალგაზრდობის ელექსირი — საწარმოო ტანვარჯიში დამეხმარაო, — ამბობს ევსენიოვა. იგი 31 წელია ფაბრიკაში მუშაობს. ექვს პროფესიას დაეუფლა, ამას წინათ კი მეშვიდე „პროფესია“ აითვისა — ფიზკულტურელისა. ტურისტული ლაშქრობები ჩემი გატაცებაია, დასძინა.

მეოთხე საამქრო ფაბრიკაში მოწინავეა. საწარმოო ტანვარჯიშის საუკეთესოდ დაყენებისთვის გამოცხადებულ კონკურს-დათვალიერებაში ამ საამქრომ გაიმარჯვა. წარმატება რომ მოიპოვო, ამისთვის საჭიროა მასობრივობა, გამოცდილი ინსტრუქტორები და ვარჯიშთა შესრულების კარგი ტექნიკა.

— ჩვენს საწარმოში ეს ყველაფერი გვაქვს. შარშანდელი წლის შედეგები ასეთია, — გვეუბნება საამქროს უფროსი, „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს 1962 წლის ჩემპიონი ბირთვის კვრაში გ. შავთვალაძე. — 539 თანამშრომლიდან საწარმოო ტანვარჯიშში 473 კაცი მეცადინეობს: საქმეს 5 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი ჩაუდგა სათავეში, რეგულარულმა მეცადინეობამ კი ვარჯიშის შესრულების ტექნიკაც დახვეწა. მართალია, წლეულს ძნელი წელიწადი გვქონდა — ქალის სამოდელო ფეხსაცმლის ახალი კონვეიერი ავითვისეთ, მაგრამ საწარმოო ტანვარჯიშზე ზრუნვა მაინც არ შეგვნელებია და ახლაც პირველობის პრეტენდენტები ვართ.

ამ საამქროში საწარმოო ტანვარჯიშის საუკეთესო პროპაგანდისტები არიან ვ. ჩარგეიშვილი, ვ. კოკაია, ვ. ივანჩენკო, ლ. ფილიპჩუკი. პროპაგანდისტთა არმიას ფაბრიკის მთავარი ინჟინერი, მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე გ. გაიმარჯვაშვილი უდგას სათავეში, მეთოდური საბჭო ადგენს და ამტკიცებს ვარჯიშების კომპლექსებს, ატარებს სემინარებს (წლეულს 30 ახალი ინსტრუქტორი მოამზადეს). საბჭომ მიაღწია, რომ საამქროების უფროსები და ოსტატები საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვისთვის ისევე ზრუნავდნენ, როგორც საწარმოო გეგმის შესრულებისთვის. რა თქმა უნდა, ამის მიღწევა ძნელი იქნებოდა მეთოდურ საბჭოს ფაბრიკის დირექტორი გ. ჯანაშია მხარს რომ არ უჭერდეს.

საწარმოო ტანვარჯიშის მიღმა ფაბრიკაში არც ახალბედებს ტოვებენ. ისინიც „ვეტერანებთან“ ერთად ხალისით მიდიან ტურისტულ ლაშქრობებში, ჩაბმული არიან ჯანმრთელობის ჯგუფებში, გამოდიან შეჯიბრებებში.

საწარმოო ტანვარჯიშის დახმარებით ფიზკულტურა სახელმწიფო დისციპლინად გადაიქცა. იგი დიდად უწყობს ხელს, რომ ფაბრიკის კოლექტივი პროდუქციის გამოშვების გეგმებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებს.

ვ. ბუკია.



ნახტომი

ს. თათარიშვილის ფოტო.

ქართული ბილიარდი

ქართული ბილიარდი

ქართული ბილიარდი

ქართული ბილიარდი

ქართული ბილიარდი

ქართული ბილიარდი

#

ფიზიკური კულტურის კოლექტივები ახალი ამოცანების წინაშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში თვითმოქმედი ფიზკულტურული მოძრაობის მთავარ რგოლად ფიზიკური კულტურის კოლექტივი ითვლება. ამიტომ გასაკვირი როდის, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ კოლექტივების შემდგომ ორგანიზაციულ განმტკიცებას.

ამასთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს, რომ ადგილობრივი, პარტიული და საბჭოთა ორგანოების გამუდმებული ზრუნვის წყალობით, აგრეთვე, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური დახმარებითა და აქტიური მოსაწილეობით ყველა საწარმოში და დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შექმნილია ფიზიკური კულტურის კოლექტივები. 1965 წელთან შედარებით მათი რიცხვი 300 ერთეულით გაიზარდა და დღეს 6820-ს შეადგენს. ამ კოლექტივებში გაერთიანებულია 1150 ათასი ფიზკულტურელი, რაც მოსახლეობის საერთო რიცხვის 24,3%-ს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ ყოველი მეოთხე მცხოვრები და ყოველი მეორე მშრომელი ან მოსწავლე ფიზკულტურასა და სპორტს მისდევს.

ფიზიკური კულტურის მოწინავე კოლექტივებს შორის გამოირჩევიან სპორტული კლუბები. რესპუბლიკაში 27 კლუბი გვაქვს. აქედან 18 უმაღლესი სასწავლებლებისაა, 3 საშუალო სპეციალური სასწავლებლების, 6 სამრეწველო საწარმოებისა. აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით კიდევ ცუდად ვიყენებთ ჩვენს შესაძლებლობებს სპორტული კლუბების ქსელის გაფართოებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი სისტემატურად ზრუნავს ძირეულ რგოლზე, ხელმძღვანელობს და ამოწმებს ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა მუშაობას, რათა მათ მაქსიმალური ყურადღება მიაქციონ და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ ფიზკულტურის კოლექტივებს.

ამ მხრივ საქართველოს სპორტკომიტეტის ძირეული ღონისძიებაა დავალებები, რომლებსაც ფიზიკური კულტურის რესპუბლიკურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ვაძლევთ უშუალოდ ფიზკულტურის კოლექტივებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებების ორგანიზაციის საკითხში.

აღნიშნული ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა მთელი რიგი კოლექტივები შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ თვით მოწინავე სპორტულ კლუბებშიც კი არ არის გამოყენებული სრულად არსებული შესაძლებლობები. ნება მომეცით მოვიყვანო ორი ასეთი მაგალითი. შესწავლილ ფიზკულტურის კოლექტივებს შორის არის თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სპორტკლუბი „გამარჯვება". იგი გამოირჩევა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივობით და ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. ეს წარმატება აიხსნება ფიზკულტურულ მუშაობაში პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, ქარხნის მესვეურთა მონდომებით.

სპორტკლუბის სახელი ამ კოლექტივს 1962 წელს მიენიჭა. ამ კლუბის მუშაობის დაცნობით შევვიძლია შემდეგი დასკვნა გავოვიტანოთ. მიუხედავად იმისა, რომ სათანადო პირობები აქვთ, მუშა-მოსამსახურეთა დიდი პროცენტი როდი მონაწილეობს ტურისტულ ლაშქრობებში (18,0 პროცენტი), ნადირობაში, თევზაობაში (9 პროცენტი). ამასთან, ღონისძიებები სისტემატურადაც არ ტარდება. ამ ფიზკულტურის კოლექტივის მუშაობაში სათანადოდ არ არის გამოყენებული ეროვნული თამაშები და ვარჯიშები. სპორტის სახეობების არჩევა ხშირად მხოლოდ ბაზებზე და ინვენტარზეა დამოკიდებული. ნაკლებადაა გათვალისწინებული მშრომელთა ინტერესები. შედეგნილი არ არის სპორტული ბაზების გამოყენების გრაფიკი.

ცუდადაა ორგანიზებული მუშაობა საცხოვრებელ ადგილებში ქალთა, აგრეთვე, სამუშაო და უფროსი ასაკის მუშა-მოსამსახურეთა შორის. ნაკლოვანებები აქვთ თვალსაჩინო აგიტაციის საქმეში.

სპორტულმა კლუბმა „სინათლემ"— საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს ფიზკულტურის კოლექტივმა ეს საპატიო სახელი 1961 წელს მიიღო. სპორტკლუბის გამგეობას სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი მ. ჩიკვაიძე. ამ კლუბში სპორტის 22 სახეობაა დანერგილი. ტრადიციულად ტარდება ჯანმრთელობის სპარტაკიადები.

სპორტკლუბი ატარებს ტრადიციულ საგაზაფხულო სპარტაკიადას, რომელშიც მუდამ შვიდივე კოლექტივი მონაწილეობს. სპორტკლუბ „სინათლის" დაგეგმვის, ანგარიშგებისა და აღრიცხვის დოკუმენტაციის ანალიზმა გვიჩვენა, რომ კლუბში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის ორგანიზაცია სათანადო სიმაღლეზე დგას.

ტურისტული ლაშქრობებისა და სხვა ღონისძიებების გარდა, რაც მუშა-მოსამსახურეთა გაჯანსაღების მიზნით ტარდება, საგანგებოდ მოძრაობის სამსახურის მუშაკთათვის ორგანიზებულია ერთდღიანი დასვენება ლისის ტბაზე, სადაც მათს განკარგულებაშია სპორტული ბაზა და ინვენტარი.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა ჯერ კიდევ ნაკლები პროცენტია ჩაბმული ფიზკულტურულ ცხოვრებაში. შეინიშნება ხარვეზები საშუალო და უფროსი ასაკის ხალხთან მუშაობაში. მუშათა ნაკლები რიცხვია ჩაბმული ჯანმრთელობის ჯგუფებში. სპორტკლუბისა და მისი წევრების მუშაობის მასალები ფართოდ არ არის გამოყენებული საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის აგიტაციისთვის. ჯერ კიდევ ნაკლებად არის გამოყენებული ეროვნული თამაშობები და ვარჯიშები.

თბილისის ფიზიკური კულტურის კოლექტივების მუშაობის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ:

1. მიუხედავად მუშაობის გაუმჯობესებისა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების თითქმის ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, მასობრივ-გამაჯანსაღებელი ფიზკულტურული საქმიანობა ჯერ კიდევ არ დგას სათანადო დონეზე; ა) მასობრივ ღონისძიებებში, ტურისტულ ლაშქრობებში, ნადირობასა და თევზაობაში მშრომელთა ჯერ კიდევ მცირე ნაწილია ჩაბმული; ბ) სუსტად არის ორგანიზებული მუშაობა მუშათა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, აგრეთვე, ქალთა, სამუშაო და უფროსი ასაკის მუშა-მოსამსახურეთა შორის.

2. ფიზკულტურის კოლექტივების მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული კლუბის ტრადიციები. ამიტომ სპორტის სახეობის არჩევა ძირითადად ხდება მხოლოდ არსებული ბაზებისა და ინვენტარის შესაბამისად, ხოლო მშრომელთა ინტერესებს ნაკლები ყურადღება ექცევა; ფიზკულტურის კოლექტივების მუშაობაში ნაკლებად იყენებენ ეროვნულ თამაშობებსა და ფიზიკურ ვარჯიშებს.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ვფიქრობთ, რომ ფიზკულტურის კოლექტივების მუშაობაში ჯერ კიდევ ნაკლებადაა გამოყენებული არსებული შესაძლებლობები ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის რაციონალიზაციისა და გაფართოებისთვის. ამას პირველ ყოვლისა ის გარემოება განაპირობებს, რომ ოფიციალურ სბბუთებში არ არის მოცემული კონკრეტული მითითებები ტრადიციისა და მშრომელთა ფსიქოლოგიური წყობის გათვალისწინების თაობაზე. ამას გარდა, სახელმძღვანელო საბუთებში არ არის მითითება საწარმოებში სპორტის ისეთი სახეობების განვითარების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია კარგი შედეგების მიღწევა, თუ სპორტსმენი მეცადინეობას ჭაბუკობის ასაკიდანვე დაიწყებს.

ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში ჩამორჩენას ხელი შეუწყო მუშაობის ნელი ტემპით გაშლამ ქალთა, სამუშაო და უფროსი ასაკის მუშა-მოსამსახურეთა შორის, აგრეთვე, საწარმოო ტანვარჯიშის დაბალმა დონემ. ჩვენი აზრით, ფიზიკური კულტურის კოლექტივების მუშაობაში ეროვნული თამაშები და ფიზიკური ვარჯიშები უფრო ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული. ამ მიზნით აუცილებელია გარკვეული ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება. კერძოდ, შესაბამის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს რეკომენდაცია უნდა მიეცეთ, რომ უფრო ხშირად ჩაატარონ შეჯიბრებები სპორტის ეროვნულ სახეობებში ფიზიკური კულტურის კოლექტივებს შორის, ხოლო ის კოლექტივები, რომლებიც ამ საქმეში წარმატებებს მოიპოვებენ, წაახალისონ. ფიზკულტურის კოლექტივებმა უფრო ფართოდ უნდა გაშალონ მუშაობა სპორტის ისეთ სახეობებში, რომლებშიც მოსალოდნელია კარგი შედეგების მოპოვება, თუ სპორტსმენი ჭაბუკობის ასაკიდან იწყებს ვარჯიშს (ჭიდაობა, ძალოსნობა და სხვ.).

როგორც ჩანს, მიზანშეწონილი იქნება, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით უფრო ფართოდ გავუწიოთ პროპაგანდა ეროვნულ თამაშებსა და ფიზიკურ ვარჯიშებს.

მუშაობის შესწავლის შედეგად მიღებულ მასალებს, როგორც წესი, კოლექტივის საერთო კრებაზე განიხილავენ. აქ ისახება კონკრეტული ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რასაც შემდეგ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ითვალისწინებს.

ამას გარდა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968-69 წლების დადგენილებათა შესაბამისად, საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ბაზაზე მუშაობს მუდმივი ყოველთვიური კურსები იმ საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტების, ინსტრუქტორებისა და მწვრთნელების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რომლებიც წარმოებისგან მოწყვეტით მუშაობენ ფიზიკური კულტურის კოლექტივებში. კურსების მსმენელებს ხელფასი ენახებათ, მას, ვისაც ყოველთვიური ხელფასი 100 მანეთი აქვს, ეძლევა სტიპენდია 30 მანეთის რაოდენობით. განვლილ პერიოდში კვალიფიკაცია უკვე სამასმა მუშაკმა აიმაღლა.

ამასთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გადაწყვეტილებით, 1970-71 სასწავლო წლიდან ინსტიტუტის ბაზაზე გახსნილია დაუსწრებელი სწავლების 10-თვიანი კურსები იმ ფიზკულტურული მუშაკებისთვის, რომლებსაც სპეციალური განათლება არ მიუღიათ, მაგრამ მუშაობის დიდი სტაჟი და საკმაოზე მეტი გამოცდილება აქვთ. ასეთი მუშაკი ბევრია ფიზკულტურის კოლექტივებში. რაც შეეხება ფიზიკური კულტურის კოლექტივებზე ხელმძღვანელობის საორგანიზაციო მხარეს, ეს ჩვენის მხრივ გამოიხატება პრაქტიკულ დახმარებაში ადგილზე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შესწავლის შემდეგ. ამ ხელმძღვანელობის გამოხატულებაა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ საკითხის დაყენება დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების წინაშე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების წინაშეც. მარტო ბოლო ორი წლის მანძილზე ჩვენი კოლეგიის სხდომებზე განხილული იქნა ფიზკულტურული მუშაობის დონისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების საკითხები ისეთ დიდ ობიექტებზე, როგორიცაა რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, ენგურჰესი, სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნისა და მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის კოლმეურნეობები, გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობა და სხვ. განვიხილეთ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობის საკითხი თბილისის საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს სპორტკლუბ „სინათლეში" და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდაში". განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სიყალბის წინააღმდეგ ბრძოლას, რასაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი ფიზიკური კულტურის ზოგიერთ კოლექტივში. ეს განსაკუთრებით დაწესებულებებზე ითქმის.

ნება მომეცით თქვენი ყურადღება გავამახვილო ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული მოძრაობის კიდევ ერთ არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორზე. როგორც ცნობილია, ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვას მოსახლეობას შორის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, განსაკუთრებით, ახალ საცხოვრებელ მიკრორაიონებში. ერთ-ერთ ასეთ მიკრორაიონში — თბილისის პირველი მაისის რაიონის დიღმის საცხოვრებელ მასივში, 1963 წლის ნოემბერში შეიქმნა ინიციატორთა ჯგუფი სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში მოზრდილთა გუნდებს შორის. 1965 წლის მაისში გამგეობამ თავისი პირველი წლის მუშაობის ანგარიში ჩააბარა. შედეგები ცუდი როდი იყო. ამ ხნის მანძილზე მოეწყო ფეხბურთის ექვსი მინდორი 60×40 ფართით და ერთიც ნორმალური ზომისა, ფრენბურთის 12 მოედანი, კალათბურთის 3, რიკაობის 1 მოედანი. ჩოგბურთის კორტი. გაიმართა კვარტალებისა და კორპუსების ხუთი პირველობა. წარმატებით ჩატარდა სპარტაკიადა. მესამედ გათამაშდა მასივის თასი ფრენბურთსა და ფეხბურთში ბავშვებსა და მოზრდილთა შორის. „დილას" ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი რაიონული და საქალაქო შეჯიბრებების მონაწილეა. კლუბის ნორჩი ფეხბურთელები გამუდმებით მონაწილეობენ რაიონისა და ქალაქის მოზარდთა შეჯიბრებებში. კლუბის ნაკრები გუნდები ორჯერ უკვე წარმატებით გამოვიდნენ სპორტკავშირის საქალაქო საბჭოს მიერ გამართულ ჯანმრთელობის სპარტაკიადებში. კლუბის მუშაობა საინტერესოა ყველა ასაკის ხალხისთვის. შემთხვევითი როდია, რომ კლუბის მიერ ჩატარებული ღონისძიებების მონაწილეთა რიცხვი 2 ათასს აღწევს.

კლუბთან შექმნილია ჯანმრთელობის ჯგუფი პენსიონერებისთვის, რომელიც საქალაქო ფიზკულტურული დისპანსერის ექიმების მეთვალყურეობით მეცადინეობს. მუშაობს, აგრეთვე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტი. აქტივისტებს შორის უნდა დავასახელოთ სპორტის ოსტატი გვარლიანი, გადამდგარი პოლკოვნიკი ბუტენკო, 35-ე სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლები ჯორჯაძე და პატარაია, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი ბერეტნოვი, პენსიონერი ცოლ-ქმარი ჯაშინსკები, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზკულტურის მასწავლებელი გრიგორიანი, გვირაბმშენის № 5 კანტორის უფროსი ინჟინერი როგოვსკი, ინჟინერი გეჯაძე და ბევრი სხვა. ისინი ხელმძღვანელობენ სექციებს, აწყობენ სხვადასხვა ღონისძიებას.

ამას გარდა, ქაცვი შეფი — სპორტსაზოგადოება „დინამო", რომელმაც კლუბის ფეხბურთელთა გუნდს სპორტული ფორმების სრული კომპლექსი შეუძინა, ხოლო სამეცადინოდ მას თავის ბაზას უთმობს. ფიზკულტურელებს დიდ დახმარებას უწევენ № 16 და № 90 სახლმმართველობებიც. დიღმის მასივის საზოგადოებრივი საბჭო, 35-ე სკოლის მასწავლებელთა კოლექტივი. პარტიის საქალაქო კომიტეტმა და ქალაქის აღმასკომმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კლუბს ზამთრის პირობებშიც ჰქონდეს სამეცადინო შენობა. კლუბის გამგეობას კავშირი აქვს ფიზკულტურის ინსტიტუტთან, ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, № 3 რაიონულ პოლიკლინიკასთან და სხვა ორგანიზაციებთან.

კლუბის მუშაობამ დადებითი შეფასება მიიღო ჩვენს რესპუბლიკაში. იგი მოიწონა საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ. „დილას" მსგავსი ჯანმრთელობის და დასვენების სახალხო კლუბები თბილისის ბევრ რაიონში გაჩნდა. ასეთია, მაგალითად, „გაზაფხული" 26 კომისრის რაიონში, „დელისი" ორჯონიკიძის რაიონში. მათს გამოცდილებას ეცნობიან ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, გორისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების საზოგადოებრივი მუშაკები. ეს მუშაობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

ჩვენ ვეცადეთ მოკლედ გადმოგვეცა კომიტეტის მუშაობის პრაქტიკა ფიზიკური კოლექტივების ხელმძღვანელობის საკითხში. მაგრამ, არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მივაქციო ერთ, ჩემის აზრით, მეტად მომწიფებულ საკითხს: აუცილებელია სსრ კავშირისა და რესპუბლიკების ყველა სამინისტრომ და უწყებამ დანერგოს შტატში ფიზიკური კულტურისა და სპორტის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა. ამ საკითხის დადებით გადაწყვეტა საკავშირო მასშტაბით დიდად შეუწყობს ხელს ფიზიკური კოლექტივების განმტკიცებას, პასუხისმგებლობის გაზრდას.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია. მავრამ საბოლოო ჯამში ეს პროცესი აღმავლობის საწინდარია. მის შედეგად ფიზკულტურულ მოძრაობაში ებმებიან მოსახლეობის სულ ახალ-ახალი ფენები. ეს ეხება როგორც ახალგაზრდობას, ისე საშუალო და უფროსი ასაკის ხალხს. საღეკინოდ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში არსებულ ძირითად წინააღმდეგობას ის წარმოადგენს, რომ ახალგაზრდა თაობის გაზრდილი ინტერესები და მშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის მოთხოვნები მათთვის ხელმისაწვდომი ფორმებისადმი სრულიად არ არის დაკმაყოფილებული. მავრამ ამ ნაკლის დაძლევა შეიძლება. ხარვეზის აღმოფხვრის ძირითადი გზაა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვისთვის აუცილებელი პირობების განვითარების პერსპექტიული დაგეგმვა: სპორტული ნაგებობები, კადრები (როგორც პროფესიული, ისე საზოგადოებრივი), სპორტინვენტარი.

ფიზიკური აღზრდის სისტემაში მთავარი უნდა იყოს ამოცანა: კომუნიზმის აქტიური მშენებელი საბჭოთა ადამიანის ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარების იდეა.

ნ. სოფხიშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის, მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის, კადრებისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსი.

ჭადრაკი

დღეს გაირკვევა თასის მფლობელი

იუგოსლავიის ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში მოჭადრაკე ქალთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების დამთავრებას ერთი ტური აკლია. წინ კი ქართველი მოჭადრაკე, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ნანა ალექსანდრია, რომელმაც უკანასკნელ სამ ტურში ყველა მეტოქე დაამარცხა, მათ შორის მახპინძელთა ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე იოვანოვიჩი და ახლა 10 ქულა აქვს 18 შესაძლებლიდან. მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან იუგოსლავიელი ლაზარევიჩი და რუმინელი ნიკოლაუ.

დაწინაურდა კორჩნოი

რიგა, 18 დეკემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა 38-ე ჩემპიონატში დღეს გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. ა. კარპოვმა (ლენინგრადი) დაამარცხა ი. ზაიცევი (მოსკოვი), რ. ვაგანიანმა (ერევანი) — ვ. ბაგიროვი (ბაკო), ვ. სავონმა (ხარკოვი)—მ. ცეიტლინი (ლენინგრადი). ლენინგრადელმა ვ. კორჩნოიმ და მოსკოველმა ი. ავერბახმა მოუგეს გროსხოლდ ვ. დოროშკევიჩს. ყაიმით დამთავრდა ვ. ანტოშინ (მოსკოვის ოლქი) — ცეიტლინის, ვ. ლიბერზონ — რ. ხოლმოვისა და ი. ბალაშოვ (სამივე — მოსკოვი) — ლ. შტეინის (კიევი) შეხვედრები.

15 ტურის შემდეგ 11 ქულით ლიდერობს კორჩნოი, 10,5 ქულით II ადგილზეა ვ. ტუმაკოვი (ოდესა), 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს შტეინს, 9 ქულა და 1 გადადებული პარტია — მ. პოდგაიეცს (ოდესა).

დარჩა სამი ტური

ბელგი, 18 დეკემბერი. მოჭადრაკე ქალთა 30-ე ჩემპიონატში გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. მოსკოველ ა. კუშნირს ძნელი ბრძოლის გადატანა მოუხდა ვოლგოგრადელ ლ. ლიუბარსკაიასთან, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამარჯვება იზეიმა. 2 ქულა ჩაიწერა ბაქოელმა ტ. ზატულოვსკაიამ, რომელმაც დაამარცხა ალმაათელი ლ. სტარჩენკო და ლვოველი თ. მოროზოვა. ტალინელმა მ. სამულმა მოუგო მოსკოველ თ. ზაიცევას და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა თანამოქალაქე მ. რანიკუსთან. ნოვოსიბირსკელმა ვ. უშაკოვამ დაამარცხა მოროზოვა, ყაიმით დამთავრდა ს. როოტარე (ტალინი) — ც. კახაბრიშვილისა (თბილისი) და ნ. ალიოხინა (ვორონეჟი) — ლიუბარსკაიას შეხვედრები.

ამ დღეს გათამაშდა სამი გამოტოვებული პარტიაც. თბილისელმა მ. სანანაძემ სძლია სსრ კავშირის თასის მფლობელს მოსკოველ ტ. ლემაჩკოს, ლენინგრადელმა ი. ლევიტინამ მოსკოველ ლ. ბელავენეცს, ხოლო სვერდლოვსკელმა ლ. საფონინამ — ტაშკენტელ ვ. ბორისენკოს.

შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტურით ადრე მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია: კუშნირს 11,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ამდენივე მოაგროვა რანიკუმ. მოსკოველ ნ. კონოპლიოვას 10 ქულა აქვს, სვერდლოვსკელ ლ. საფონინას — 9,5, სამულსა და ხმელნიცკელ ლ. სემიონოვას — 9-9, უშაკოვას — 8,5, ბელავენეცს, ზატულოვსკაიას, ლემაჩკოსა და როოტარეს — 8-8.

ვულოცავთ გამარჯვებას!

კიდევ ერთი, სასახელო წარმატებას მიაღწია „საქსპორტვაჭრობის“ კოლექტივმა, რომელმაც წლეულს მეორედ მოიპოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი დროშა.

საქონელბრუნვის გეგმა მესამე კვარტალში „საქსპორტვაჭრობამ“ შეასრულა ვადაზე 9 დღით ადრე და მოიმხმარებლებს მიჰყიდა 866 ათასი მანეთის ზეგეგმითი საქონელი. საქონელბრუნვის ზრდამ მესამე კვარტალში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით შეადგინა 2.178 ათასი მანეთი, ე. ი. 32,6 პროცენტი.

ამ დღეებში ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლში გაიმართა „საქსპორტვაჭრობის“ სისტემის მუშაკთა აქტივის საზეიმო კრება, სადაც საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის წევრმა ნ. ბიბილეიშვილმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი დროშა გადასცა „საქსპორტვაჭრობის“ დირექტორს ა. პაიჭაძეს.

„საქსპორტვაჭრობის“ გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა თბილისის № 1 „დინამოს“ მაღაზიის კოლექტივმა (დირექტორი გ. ფირანაშვილი).

ვუოლცავთ გამარჯვებულებს ღირსეულ ჯილდოებს და ვუსურვებთ ახალ წარმატებებს მოსახლეობის სპორტული საქონლითა და ინვენტარით მომარაგების საქმეში.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

სპორტი ოლიმპიადისწინა წელს

საპოროს ზამთრისა და მიუნჰენის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ნიშნის ქვეშ ჩატარდება 1971 წლის მსოფლიოსა და ევროპის ყველა ჩემპიონატი, თასების გათამაშება და სხვა დიდი საერთაშორისო ღონისძიება. გაისის სპორტულ კალენდარში არის სიახლე. ესაა მსოფლიო ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში, რომელიც ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა სამშობლოში გაიმართება. მომავალი წლის სპორტულ კალენდარში დიდი ადგილი აქვს დათმობილი იუნიორთა საერთაშორისო შეჯიბრებებს—ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებს ფაფალურთში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, ჭადრაკში, თანამედროვე ხუთჭიდში და სპორტის სხვა სახეობებში.

1971 წლის სტარტები მომავალი ოლიმპიელების ძალთა დათვალიერება იქნება. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილენი ხომ თავიანთი ქვეყნების სპორტულ დირსებას დაიცავენ საპოროსა თუ მიუნჰენში.

გთავაზობთ 1971 წლის ძირითად საერთაშორისო შეჯიბრებათა კალენდარს.

იანვარი

ევროპის ჩემპიონატი ციგაობაში — იმსტი (ავსტრია), 16—17.

მოციგურავე ვაჟთა ევროპული ჩემპიონატი — ჰერენვენი (ჰოლანდია), 23—24.

მსოფლიო ჩემპიონატი ციგაობაში—იტალია, 30—31.

მოციგურავე ქალთა ევროპული ჩემპიონატი — ლენინგრადი, 30—31.

სსრ კავშირისა და აშშ-ს მოკრივეთა მატჩი — ლას-ვეგასი (აშშ).

თებერვალი

მსოფლიო ჩემპიონატი ბიატლონში — ფინეთი, 2—7.

ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში — ციურიხი (შვეიცარია), 2—7.

იუნიორთა ევროპული ჩემპიონატი სათხილამურო რბოლებში, ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში — გფრ, 5—7.

მოციგურავე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი — ჰელსინკი, 6—7.

„ოლიმპიადისწინა კვირეული“ — საპორო (იაპონია), 7—14.

მოციგურავე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი—გეტებორგი (შვეცია), 13—14.

მსოფლიო ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში — პაკისტანი, 16—25.

ქალთა და ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი სპრინტერულ საციგურაო მრავალჭიდში —ინცელი (გფრ), 20—21.

მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში — ლიონი (საფრანგეთი), 23—28.

მარტი

მსოფლიო ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეიში — შვეცია, 3—14.

მძლეოსანთა ევროპული ჩემპიონატი დახურულ შენობებში—სოფია, 13—14.

ევროპის ჩემპიონატი პნევმატური იარაღით სროლაში —ჩეხოსლოვაკია, 14—20.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში, ქენევა, ციურიხი (შვეიცარია), 15 მარტი — 3 აპრილი.

მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ჯილდოზე — რიგა, 26—30.

მსოფლიო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში — ნაგოია (იაპონია), 28 მარტი — 7 აპრილი.

აპრილი

სსრ კავშირისა და გდრ-ის მოცურავეთა მატჩი — ჰალე (გდრ), 16—18.

მაისი

მშვიდობის ველორბოლა: ჯარმავა—ბერლინი — პრაღა, 6—21.

კალათბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი — სან-პაულუ (ბრაზილია), 15—31.

ძიუდოისტთა ევროპული ჩემპიონატი — გეტებორგი (შვეცია), 18—23.

უეფას ტურნირი ფუტბურთში — ჩეხოსლოვაკია.

ტანმოვარჯიშე ვაჟთა ევროპული ჩემპიონატი — ბარსელონა (ესპანეთი).

ივნისი

გაზეთ „პრავდას“ ტრადიციული პრიზის გათამაშება რბენებში — ტალინი, 12—13.

ევროპის ჩემპიონატი კრივში — მადრიდი, 13—22.

ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში — სოფია, 19—27.

ევროპის გუნდური ჩემპიონატი შაშში — იტალია.

ივლისი

მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში — ვენა, 4—18.

მსოფლიო ჩემპიონატი მშვიდდოსნობაში — ინგლისი, 28—31.

სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი — პუერტო-რიკო.

აგვისტო

მსოფლიოს 6 უძლიერეს წყალბურთელთა გუნდის ტურნირი— ბუდაპეშტი, 8—15.

ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში — ჰელსინკი, 10—15.

იუნიორთა ევროპული ჩემპიონატი ცურვასა და წყალში ხტომაში — ჰოლანდია, 12—15.

ევროპის თასი წყალში ხტომაში — ლონდონი, 12—15.

ევროპის ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქალთა (13—15) და ვაჟთა (18—22) შორის — დანია.

ევროპის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში — გდრ, 20—28.

მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში — სოფია, 27 აგვისტო — 5 სექტემბერი.

მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში — ლიუდვიგსჰოფენი (გფრ), 28 აგვისტო — 2 სექტემბერი.

მსოფლიოში და ევროპის ჩემპიონატი ბაიდარებით ნიჩბოსნობასა და კანოეში — იუგოსლავია.

მსოფლიო ჩემპიონატი ნიჩბოსნურ სლალომში — იტალია.

მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში — აშშ.

მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში (ტრეკი) — ვარესე (იტალია).

სექტემბერი

სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მოცურავეთა მატჩი — მოსკოვი, 10—12.

კალათბურთელ ვაჟთა ევროპული ჩემპიონატი — გფრ, 10—19.

მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება ძმები ხნამენსკების პრიზზე — ხარკოვი, 11—12.

მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში — პერუ, 18—26.

ევროპის ჩემპიონატი ფრენბურთში ვაჟთა და ქალთა გუნდებს შორის — იტალია, 23 სექტემბერი — 2 ოქტომბერი.

მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში (გზატკეცილი) — შვეიცარია.

ევროპის ჩემპიონატი ცხენოსნურ საჭიდში —ინგლისი.

ოქტომბერი

მსოფლიო ჩემპიონატი სროლაში — ტოკიო, 5—10.

ტანმოვარჯიშე ქალთა ევროპული ჩემპიონატი — მინსკი, 15—17.

ნოემბერი

მსოფლიო ჩემპიონატი მსატვრულ ტანვარჯიშში — ჰავანა, 15—17.

დეკემბერი

ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „იზვესტიას“ თასზე.

თბილისის სპორტულ ბუნებაზე

ქალათბურთი. სპორტის სასახლე. სსრ კავშირის XXXVIII ჩემპიონატი. 20 დეკემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „სტრო�ტელი“ (კიევი). დასაწყისი: სათადარიგო შემადგენლობებისა —18 ს. ძირითადი შემადგენლობებისა — 20 ს.

სპორტის სასახლე
23-24 დეკემბერი
გამოჩენილი ქართველი ფალავნის სანდრო კანდელაკის ხსოვნისადმი მიძღვნილი
საქართველოს აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში



მონაწილეობენ — ცნობილი ფალავნები: შ. გულიაშვილი, შ. ჩოჩიშვილი, ო. ქიბროწაშვილი, გ. თანდელოვი, გ. ონაშვილი, რ. ოდიშელიძე, ნ. ზაზუნიშვილი, ა. მალალთაძე და სხვ.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი — სსრ კავშირის მრავალგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ა. მეკოკიშვილი.

დასაწყისი 12 ს. და 20 ს.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

ჩხარი ჩგეკი

● კუოპიო, 18 დეკემბერი. ფინეთში გრძელდება მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება „ფინეთის სამი ტრამპლინის ტურნე“. როგორც უკვე ჯიტყობინებოდით, პირველ შეჯიბრებაში, რომელიც იუნასვაარში გაიმართა, ი. კალინინმა (სსრ კავშირი) იმარჯვა. მეორე ტური კუოპიოში მოეწყო. ამჯერად საუკეთესო გახლდათ გდრ-ის გუნდის წევრი გ. ეოზიპივო, მისი საუკეთესო ნახტომი 94,5 იყო. ორ ტრამპლინზე გამართულ ასპარეზობათა ჯამში დაწინაურდა კალინინი — 470,5 ქულა.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 6 ფფ 04330